# კლუბი „კასპი“

## კასპის მუნიციპალიტეტის მერია

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების კულტურისა და
სპორტის სამსახური

## კასპის მუნიციპალიტეტის
## სპორტის დაწესებულების გაერთიანება

საქართველოს სპორტული
კარატეს ეროვნული ფედერაცია

# ლევან ძაძუკაშვილის ცსოვნის ცრაღიციული ტუჩნიჩი კარატეში

კასპი
26.10
2025

ბიოსბი საკუბაძის #38

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ლევან ძამუკაშვილის ხსოვნის ტრადიციული ტურნირი კ ა რ ა ტ ე შ ი

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის
დაწესებულებების გაერთიანება
გიორგი სააკაძის N 38.
26 ოქტომბერი 2025 წ.

**ბავშვებს, მოზარდებს, კადეტებს, იუნიორებს, სენიორებს შორის ინდივიდუალურ კატეგორიაში**

„შეთანხმებულია“ - კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი: თეა ხორბალაძე

„შეთანხმებულია“ - საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია თეიმურ გიგნაძე

„ ვამტკიცებ“ - კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი: შოთა გოგიაშვილი

ტურნირის ორგანიზატორი:

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება

საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი

“ კასპი “ ბ.ა

## მხარდამჭერი ორგანიზაციები:

- კასპის მუნიციპალიტეტის მერია
- კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურისა და სპორტის სამსახური
- სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია

## ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი:

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი: ა. მანძულაშვილი მობ: 571 11 33 71 551 769 769
ვასილ მაღლაკელიძე 597302010

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

-აღნიშნულ ტურნირში, ასპარეზობა ჩატარდება მხოლოდ კუმიტეში,

## ტურნირის მსაჯობა:

-ტურნირზე იმსაჯებენ საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მიერ ატესტირებული მსაჯები. მსაჯთა ბრიგადების დაკომპლექტებას უხელმძღვანელებს სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე გელა ახალაძე

## ტურნირის მიზნები და ამოცანები:

- საქართველოს კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია WKF-ის წესებით.
- მსაჯობის დონის ამაღლება, მონაწილე სპორტსმენების დონის ამაღლება.
- საპასუხისმგებლო შეჯიბრის წინ სპორტსმენების სათანადო სპორტულ კონდიციაში მოყვანა.

## ტურნირის სარეგისტრაციო პირობები

სპორტსმენები ტურნირში იასპარეზებენ იმ ასაკობრივ კატეგორიაში, რომელიც შეესაბამება ტურნირის ასპარეზობის დღეს 26 ოქტომბერს 2025 წელი.

ტურნირზე მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ ონლაინ ფლატფორმაზე www.sportlab.ge შესაბამის ასაკობრივ და წონით კატეგორიაში, არაუგვიანეს 2025 წლის 23 ოქტომბრისა. წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრზე არ დაიშვება.

რეგისტრაციის დახურვის შემდგომ ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოითხოვს კლუბი, განხორციელდება მხოლოდ საჯარიმო თანხის გადახდის შემთხვევაში, რომელიც შეადგენს 50 ლარს ყოველ ცვლილებაზე.

შეჯიბრების დღეს არანაირი ცვლილება არ განხორციელდება. კლუბის

ხელმძღვანელი ვალდებულია რეგისტრაციის დახურვამდე შეამოწმოს მის მიერ მიმდინარე შეჯიბრზე დარეგისტრირებული მონაწილეების სია **www.sportlab.ge** ( საკუთარი კლუბის გვერდზე „აქტივობები“ -ს განყოფილება);

-ტურნირში მონაწილეობის სარეგისტრაციო თანხა ერთ მონაწილეზე შეადგენს 40 ლარი.

კლუბებს და მონაწილე ორგანიზაციებს შეუძლიათ თანხის გადმორიცხვა შემდეგ ანგარიშზე:
საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი კასპი: GE56BG0000000726348800
არა უგვიანეს რეგისტრაციის დასრულებისა 23 ოქტომბერი 2025წ.

## ტურნირის მთავარი მოთხოვნები:

სპორტული კლუბის წარმომადგენლის ან გულშემატკივრის მხრიდან არაეთიკური საქციელი უმალ დაფიქსირდება ტურნირის სამსაჯო კომიტეტის მიერ და გამოტანილი იქნება შესაბამისი სადისციპლინო სასჯელი.
მწვრთნელი სპორტული ფორმის გარეშე ტატამთან არ დაიშვება, ხოლო არაეთიკური საქციელის შემთხვევაში დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან.
დაჯილდოვების ცერემონიალზე სპორტსმენები დაიშვებიან მხოლოდ კარატეგით ან სტანდარტული სპორტული ფორმით **(მაისური და /ან ზედა მოსაცმელი გრძელი სპორტული შარვალით).** სპორტსმენი რომელიც 2 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება ტატამზე შესაბამისი აღჭურვილობით (კაპა, შესაბამისი ფერის ქამარი და კარატეს დამცავი საშუალებები), დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან. 10 წლის ასაკიდან „კაპა“ ყველა კატეგორიის მონაწილეთათვის სავალდებულოა, ხოლო 6 წლიდან 13 წლის ჩათვლით ჩაფხუტი და დამცავი ჟილეტი გარედან. ამასთან დამატებით გოგონებში სპეციალური მკერდის დამცავები სავალდებულოა 12 წლის ასაკიდან.

## სპორტსმენების აწონვები:

აწონვები განხორციელდება 2025 წლის 26 ოქტომბერს, შეჯიბრის დარბაზში ქ. კასპი გ. საკაძის N38 10.00 დან - 12.00 მდე. სპორტსმენის წონა უნდა აკმაყოფილებდეს წონითი კატეგორიის მოთხოვნას, დასაშვებია ბიჭებში და გოგონებში + 1000 გრ. სხვაობა. სპორტსმენი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას შეჯიბრებიდან დისკვალიფიცირებული იქნება, სპორტსმენებს სარეიტინგო ქულა არ დაეწერებათ.

| ასაკი, წ.წ. | ვაჟები, კგ | დრო, წთ | ასაკი, წ.წ. | გოგონები, კგ | დრო, წთ |
|---|---|---|---|---|---|
| 6-7 | -22 / -27/ +27 | 1.5 | 6-7 | -22 / -27/ +27 | 1.5 |
| 8-9 | -25 / -32 / -38 / +38 | 1.5 | 8-9 | -28 / -35 /+35 | 1.5 |
| 10-11 | -30 / -35 / -40 / -45 / +45 | 1.5 | 10-11 | -30 / -35/ -40 / +40 | 1.5 |
| 12-13 | -40 / -45 / -50/ -55 / +55 | 1.5 | 12-13 | - 42/ - 47/ -52 / +52 | 1.5 |
| 14-15 | -52 / -57/ -63 / -70 / +70 | 2 | 14-15 | -47 / -54 / -61 / +61 | 2 |
| 16-17 | -55 / -61 / -68 / -76 / +76 | 2 | 16-17 | -48 / -53 / -59 / -66 / +66 | 2 |
| +18 | -60 / -67 / -75 / -84 /+84 | 3 | +18 | 50/ -55/ -61/ -68/ +68 | 3 |

## ტურნირის პროგრამა

**26:10:2025 (კვირა) ტურნირის დღე**

- ტურნირის მსაჯთა კომიტეტის ბრიფინგი ---------- 09.30 - 10.00 სთ.
- ასპარეზობის დასაწყისი კუმიტეში ---------- 10.00 - 21.00 სთ.
- დაჯილდოვება ---------- 21.00 -21.30 სთ.

**წინამდებარე დებულება წარმოადგენს, ოფიციალურ მოწვევას, ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად.**